

კონკურსის კრიტერიუმები

ანალიტიკოსებისათვის გამოცხადებული კონკურსი შედგება ორი ტურისგან. პირველი ტურის შედეგად გამოვლინდებიან ანალიტიკოსები, რომლებიც ოთხი თვის განმავლობაში (ოქტომბერი - იანვარი) მიიღებენ სტიპენდიას 1000 ლარის (დარიცხული) ოდენობით. კონკურსის მეორე ტური მოიცავს ოთხთვიან პერიოდს, ოქტომბრიდან იანვრის ჩათვლით, რის შემდეგაც გამოვლინდება კონკურსის გამარჯვებული. გამარჯვებული გამოვლინდება მეორე ტურის საკონკურსო პერიოდში წარმოდგენილი რვა ანალიტიკური ნაშრომის შეფასების საფუძველზე. სტიპენდიანტებს ხელშეკრულებით დაევალებათ აღნიშნული რვა ანალიტიკური ნაშრომის წარმოდგენა. მეორე ტურში მონაწილეობის და ფულადი ჯილდოს მოპოვებისთვის კონკურსში ჩართვის უფლება აქვთ პირველ ტურში მონაწილე სხვა კონკურსანტებსაც. კონკურსის გამარჯვებულს ჯილდოს სახით გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის (დარიცხული) ოდენობით.

პირველი ტური

პირველი ეტაპი - განაცხადის მიღება:

პირველი ეტაპისთვის კონკურსანტებს ევალებათ განაცხადებაში მითითებული დოკუმენტების წარმოდგენა. დოკუმენტები შეფასდება ქვემოთ მოცემული ქულების საფუძველზე. მეორე ეტაპზე გამსვლელი ქულაა 55. კონკურსის პირველი ტურის საბოლოო შედეგში პირველ ეტაპზე დაგროვებული ქულების წონაა 20%.

- CV -შინაარსი (20); ფორმატი (10), მართლწერა (10)
- ესე- აზრის მკაფიოდ გადმოცემის და დასაბუთების უნარი (40); ფორმატი/მართლწერა (10)
- ინტერესის სფერო (10)

მეორე ეტაპი - გასაუბრება:

გასაუბრების ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს გასაუბრება ჩატარდება IDFI-ს ოფისში ქვემოთ მოყვანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კონკურსის პირველი ტურის საბოლოო შედეგში მეორე ეტაპზე დაგროვებული ქულების წონაა 10%:

- აზრის მკაფიოდ გადმოცემის უნარი (50)
- მოტივაცია (25)
- კომუნიკაბელურობა (25)

მესამე ეტაპი - დავალება:

მესამე ეტაპზე, მონაწილეებს დაევალებათ მოკლე ანალიტიკური ნაშრომის წარმოდგენა, რომელიც კრიტიკულად მიმოიხილავს არსებულ სიტუაციას მათთვის საინტერესო სფეროში. კონკურსის პირველი ტურის საბოლოო შედეგში მესამე ეტაპზე დაგროვილი ქულების წონაა 25%.

- ნაშრომის სიღრმე და კომპლექსურობა (80); ფორმატი/მართლწერა (10)
- დავალების დროულად ჩაბარება (10)

მეოთხე ეტაპი - გასვლითი სამუშაო შეხვედრა:

გასვლითი სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მონაწილეები დაესწრებიან ლექციებს და მონაწილეობას მიიღებენ დაგეგმილ აქტივობებში. სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ კონკურსანტები წარმოადგენენ შემაჯამებელ ნაშრომს შეხვედრის დროს განხილული თემებისა და დისკუსიების გათვალისწინებით. კონკურსის პირველი ტურის საბოლოო შედეგში მეოთხე ეტაპზე დაგროვილი ქულების წონაა 45%.

- აქტივობებში ჩართულობა (20)
- დავალება (80)
 - სიღრმე და კომპლექსურობა (70)
 - ფორმატი/მართლწერა (10)

პირველი ოთხი ეტაპის განმავლობაში დაგროვილი ქულების შეჯამებით გამოვლინდება ოთხი კონკურსანტი, რომელთაც მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში გადაეცემათ სტიპენდია 1000 ლარის ოდენობით.

მეორე ტური

ანალიტიკური ნაშრომები

მეორე ტურში კონკურსის მონაწილეები წარმოადგენენ რვა ანალიტიკურ ნაშრომს ოთხი თვის განმავლობაში. წარმოდგენილი ნაშრომების შეფასების საფუძველზე გამოვლინდება კონკურსის გამარჯვებული. ნაშრომების შეფასების კრიტერიუმებია:

- სიღრმე, კომპლექსურობა (65)
- ორიგინალურობა (10)
- ფორმატი/მართლწერა (10)
- გავრცელება და საზოგადოებასთან წვდომა (15)